ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
№ CMR-250701

ქ. თბილისი

25.07.2018 წელი

1.ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, შპს ,,ეკოსერვის ჯგუფი" (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის ვახტანგ ნოზაძის სახით და მეორეს მხრივ, სსიპ ,,საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია" (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის ირაკლი გულედანის სახით ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]" ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-2 მუხლის ,,ა" პუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე.

2.ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვის საშუალება, ხელშეკრულების ღირებულება და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

2.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია - სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის მიერ 12 (თორმეტი) სახეობის საგამოცდო მასალის ლაბორატორიული გამოცდა (კლასიფიკატორის კოდი: 71900000 - ლაბორატორიული მომსახურებები).
საგამოცდო მასალის დასახელება:
2.1.1. მიკოლოგიური და ენტომოლოგიური გამოკვლევლევა შემდეგი 5 (ხუთი) სახეობის მცენარეზე (ავლაბარი): 1. ბზა; 2. ნანდინა; 3. გართხმული ლილია; 4. ემონიუსი; 5. ლუგუსტრუმი;
2.1.2. ფოტოჰელმიტოლოგიური გამოკვლევა 1 (ერთი) სახეობის ქეჩაზე;
2.1.3. მიკოლოგიური, ენტომოლოგიური გამოკვლევლევა შემდეგი 5 (ხუთი) სახეობის მცენარეზე (აღმაშენებელი): 1. ჭრელფოთოლა ემონიუსი; 2. ნანდინა; 3. სპირეა; 4. სირვაშლა; 5. ჩიტავაშლა;
2.1.4. ფოტოჰელმიტოლოგიური გამოკვლევა 1 (ერთი) სახეობის ქეჩაზე;
2.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 530.00 (ხუთასოცდაათი ლარი) ლარს, ყველა ხარჯისა და გადასახადის ჩათვლით.
2.2.1. ერთეულის მიხედვით ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება ლაბორატორიაში ხელშეკრულების გაფორმების ეტაპზე მოქმედი მომსახურების შესაბამისად და შეადგენს:
ა. მიკოლოგიური გამოცდისთვის - 25 (ოცდახუთი) ლარი, ჯამში - 250 (ორასორმოცდაათი) ლარი;
ბ. ფოტოჰელმინთოლოგიური გამოცდისთვის - 40 (ორმოცი) ლარი, ჯამში - 80 (ოთხმოცი) ლარი;
გ. ენტომოლოგიური გამოცდისთვის - 20 (ოცი) ლარი, ჯამში - 200 (ორასი) ლარი.
2.4 ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერიდან და მოქმედებს 2018 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით.

3. მომსახურების გაწევის პირობები, ვადა და ადგილი

3.1. მომსახურების გაწევის ვადა: ლაბორატორიაში ნიმუშის წარმოდგენიდან (25.07.18.) 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე.
3.2. ნიმუშების წარმოდგენა და ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგების მიღება განხორციელდება შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ვ. გოძიაშვილის N49.
3.3. შემსყიდველი მიმწოდებელს მიაწვდის მომსახურების გაწევისათვის აუცილებელ მის ხელთ არსებულ ინფორმაციას.
3.4. მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურება განახორციელოს ამ სფეროში საერთაშორისოდ აღიარებული ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

4.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

5.1. ხელშეკრულების კონტროლს (ინსპექტირებას) შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს შპს ,,ეკოსერვის ჯგუფი"-ს ურბანულ ზონებში არსებული გამწვანების მოვლა-პატრონობის სამსახურის უფროსი ზურაბ ტყემალაძე.

5.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირის ფუნქციაა გაწეული მომსახურების ხარისხის, მიწოდების ვადების და სხვა კრიტერიუმების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, და კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა ხარვეზის აღმოფხვრა.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

6.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს შპს ,,ეკოსერვის ჯგუფი"-ს ურბანულ ზონებში არსებული გამწვანების მოვლა-პატრონობის სამსახურის უფროსი ზურაბ ტყემალაძე.

7. ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ვალუტა

7.1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

7.2. ანგარიშსწორება განხორციელდება შპს ,,ეკოსერვის ჯგუფი"-ს 2018 წლის სახსრებით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

7.3. წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

7.4. ანგარიშსწორებისათვის საჭირო დოკუმენტაცია (გარდა ელექტრონული დოკუმენტაციისა) მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ქუჩა სანაპირო N8, მესამე სართული შპს ,,ეკოსერვის ჯგუფის" ცენტრალური ოფისი (აღნიშნული დოკუმენტაცია დეკემბრის თვეში წარმოდგენილი უნდა იქნას არაუგვიანეს 2018 წლის 27 დეკემბრისა).

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა და გადახდის ვადები)

8.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

8.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, "მიმწოდებელს" დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულებების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

8.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, "მიმწოდებელი" ჯარიმდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტის ოდენობით.

8.4 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, "შემსყიდველი" იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს "მიმწოდებელს" ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.5 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.6 ამ მუხლით გათვალისწინებული საჯარიმო და პირგასამტეხლოს თანხები დაუკავდება მიმწოდებელს საქონლის ღირებულებიდან, იმ შემთხვევაში თუ საქონლის მიწოდება არ არის განხორციელებული

მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნიდან 5 სამუშაო დღეში გადაიხადოს შესაბამისი თანხა შესმსყიდველის სასარგებლოდ, ხოლო იმ შემთხვევაში თუ საქონლის ღირებულება ნაკლებია საჯარიმო თანხაზე მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნიდან 5 სამუშაო დღეში გადაიხადოს შესმსყიდველის სასარგებლოდ საჯარიმო თანხებსა და საქონლის ღირებულებას შორის არსებული სხვაობა შესმსყიდველის სასარგებლოდ.

9.ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.
9.2. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას, ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.
9.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
9.4. შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:
ა) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში;
ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მათ შორის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნებისმიერი ისეთი დარღვევის დროს, რაც შეუძლებელს ხდის სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას, ან იწვევს შემსყიდველის ინტერესის დაკარგვას სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებისადმი.
9.5. ამ მუხლის 9.4. პუნქტში მითითებულ შემთხვევებში, შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.
10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, 3 დღის ვადაში უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში გარემოება არ ჩაითვლება ფორს მაჟორულად.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
11.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეცვლის პირობები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

12.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს ოფიციალური წერილის სახით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით წინამდებარე ხელშეკრულების რეკვიზიტებში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე.

13. სხვა პირობები

13.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

13.4 ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

13.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

14. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
შპს ,,ეკოსერვის ჯგუფი“	სსიპ ,,საქართველოს სოფლის
მის: ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ქუჩა სანაპირო	მეურნეობის სამინისტროს
N 8 (ნაკვეთი 4/27)	ლაბორატორია“
ელ-ფოსტა:makhodavadze@gmail.com	მის: ქ.თბილისი, ვ. გოძიაშვილის N49
სს ,,ლიბერთი ბანკი“	ელ-ფოსტა: contact@lma.gov.ge
კოდი: LBRTGE22	სახელმწიფო ხაზინა
ა/ა № GE06LB0113124260741000	კოდი: TRESGE22
ს/კ 404553666	სახაზინო კოდი № 707527102
	ს/კ 205162802
ვახტანგ ნოზაძე	ირაკლი გულლედანი
დირექტორი.	დირექტორი

ხელწერილი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

CMR-250701 ხელშეკრულება
მიმწოდებელი:
სსიპ „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია“

ქ.თბილისი 25 ივლისი 2018 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი, ვადასტურებთ, რომ შპს ,,ეკოსერვის ჯგუფი“-ს მიერ სსიპ ,,საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიიდან“ ლაბორატორიული გამოცდის შესყიდვის განხორციელებაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მოთხოვნებს და ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

<u>კომპანიის დირექტორი:</u>

ვახტანგ ნოზაძე _____

<u>ადმინისტრაციის უფროსი:</u>

მალხაზ ლაბაძე _____

<u>ურბანულ ზონებში არსებული გამწვანების</u>
<u>მოვლა-პატრონობის სამსახურის უფროსი:</u>

ზურაბ ტყემალაძე _____

<u>შესყიდვების მენეჯერი:</u>

მალხაზ დავაძე _____